

**ელექტრონული მიმოწერა და თავაზიანობა
/სტუდენტებისა და ფაკულტეტის ელექტრონული
კომუნიკაცია/**

**E-MAIL COMMUNICATION AND POLITENESS
/E-MAIL COMMUNICATION BETWEEN STUDENTS AND
FACULTY MEMBERS/**

ეკატერინე გოგალაძე

Ekaterine Gogaladze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაცია, ელექტრონული კომუნიკაცია,
თავაზიანობა, სამეტყველო აქტები, თხოვნა

Keywords: Communication, E-mail communication, politeness, speech
acts, request

ჩვენი საუკუნე სიახლეების და ტექნოლოგიების სწრაფად განვითარების საუკუნეა. სწრაფად შეიცვალა ადამიანი, ადამიანის ყოველდღიურობა, ადამიანური ურთიერთობები, კომუნიკაციის სახეები და საშუალებები. თანამედროვე სამყაროს ადამიანი განუწყვეტლივ იღებს ახალი ინფორმაციის ნაკადს, მას გამუდმებით უწევს კომუნიკაციის ველში ტრიალი, მიღებული ინფორმაციის გადააზრება, მისი ტვინი საოცარი სისწრაფით რეაგირებს მიმდინარე ცვლილებებზე, რომლებიც მყისიერად იცვლება და გარდაიქმნება. ყველაფერთან ერთად შეიცვალა საკომუნიკაციო არეალი: იგი გაფართოვდა და გლობალური სახე მიიღო. ძალზე გამარტივდა და გამრავალფეროვნდა კომუნიკაციის დამყარების საშუალებები (მობილური კავშირი, ინტერნეტკავშირი). საკომუნიკაციო ინსტრუმენტთა უახლესმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა შესაძლებელი გახადა სწრაფი და ხარისხიანი კავშირის დამყარება დედამიწის ნებისმიერ წერტილთან.

თანამედროვე ყოფაში კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ელექტრონული მიმოწერა გახდა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კი ელექტრონულმა კომუნიკაციამ კოვიდ ვირუსის გავრცელებით გამოწვეული პანდემიის პირობებში ფაქტობრივად ჩაანაცვლა პირდაპირი კონტაქტები.

საქართველოში არსებული ყველა აკრედიტებული სასწავლებელი სწავლების ონლაინ ფორმატზე გადავიდა. ონლაინ ფორმატში გადაინაცვლა უნივერსიტეტთა ადმინისტრაციულმა კორპუსმაც. სტუდენტები დისტანციურად, სტუდენტური პორტალის საშუალებით, ელექტრონული მიმოწერის გზით სხვადასხვა მოთხოვნით უკავშირდებიან შესაბამის დეპარტამენტებს.

კვლევა მიზნად ისახავს სტუდენტთა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან ელექტრონული მიმოწერის გაანალიზებას თავაზიანობის კონცეპტის გათვალისწინებით. რადგანაც სტუდენტთა წერილები ძირითადად მოიცავს ამა თუ იმ თხოვნა-მოთხოვნას, კვლევის მთავარ საკითხად განისაზღვრა თხოვნა, როგორც ერთ-ერთი ეტიკეტური სიტუაცია.

კვლევისათვის შეირჩა 2019-2021 სასწავლო წლებში სტუდენტთა მიმოწერა თსუ ადმინისტრაციულ დეპარტამენტებთან. შერჩევითი პრინციპით გამოიყო ქართულენოვან და არაქართულენოვან სტუ-

დენტთა 200 ელექტრონული წერილი. მონაცემები დამუშავდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით და შედეგებს გთავაზობთ ცხრილების სახით.

წარმოდგენილ მოხსენებაში მოკლედ განვიხილავთ თეორიებს თავაზიანობის კონცეპტის (Brown&Levinson; Goffman; Leech) შესახებ, რაც კვლევის თეორიული ჩარჩოა.

კვლევის შედეგებმა, ფაქტობრივად, თავაზიანობის არსის ახლებურად გადააზრების საშუალება მოგვცა.

ლიტერატურა:

ბრაუნი, პ., ლევინსონი, ს. ქ. – Brown Penelope and Levinson Stephen C. (1987). Politeness: Some Universals in Language Usage, Cambridge University Press.

ვეუბიციკა, ა., – Вежбицка, А.(1985) Речевые Акты, Новое в зарубежной лингвистике, т. 16, Москва: издательство «Прогресс».

თალეჟანი-ნიკაზმი ქ. – Taleghani-Nikazm, C. (2006). Request sequences: The intersection of grammar, interaction and social context (Studies in Discourse and Grammar). Amsterdam/Philadelphia: John Benjamins.

Our century is characterised by the rapid development of innovations and technologies. People, human daily life, human relationships, types and means of communication have changed rapidly. The human of the modern world is constantly receiving a stream of new information, he is constantly in the space of communication, rethinking the received information, his brain responds with amazing speed to the current changes that are instantly changing and transforming. With everything, the communication area has changed: it expanded and took on a global look. The means of establishing communication (mobile/E-mail connection, internet connection) have been greatly simplified and diversified. The latest technological advances in communication tools have made it possible to establish a fast connection with any point on the earth.

Electronic correspondence has become one of the main sources of communication in modern life. And in the last few years, electronic com-

munications, in the face of a pandemic caused by the spread of the COVID virus, have virtually replaced direct contacts.

All accredited universities in Georgia have switched to an online teaching format. The university administration has also moved to an online format. Students communicate remotely with the relevant departments through e-mail correspondence with various requests to the administrative departments.

The study aims to analyze the electronic correspondence of students and university administrative and academic staff with a view to the concept of courtesy. Because the students' letters mainly included the requests, the main issue of the research was the request as one of the etiquette situations.

For the study, there was selected student correspondences with TSU administrative departments in the 2019-2021 academic year were selected. Altogether, 200 e-mails of Georgian-speaking and non-Georgian speaking students were selected chosen.

The data were processed by quantitative research method, and the results are presented in the form of tables.

In this paper, we briefly discuss theories about the concept of politeness (Brown & Levinson; Goffman; Leech), which is a theoretical framework for research. The results of the study allowed us to rethink the essence of politeness.

References:

- Brown P., Levinson, S. C.** (1987). *Politeness : Some Universals in Language Usage*, Cambridge University Press.
- Taleghani-Nikazm, C.** (2006). *Request sequences: The intersection of grammar, interaction and social context* (Studies in Discourse and Grammar). Amsterdam/Philadelphia: John Benjamins.
- Вежбицка, А.** (1985). *Речевые Акты, Новое в зарубежной лингвистике*, т. 16, Москва: издательство «Прогресс».